


ნანახი

ავს თუ ავი არ ვუწოდო,
კარვს სახელად რა დავარქო?

სატირისა და იუმორის
ჟურნალი

136
1997

W1



ვიყიდე ჩალის ფასად ქარხანა, ვშლი და ვყიდი საშენ მასალებს ცეცხლის ფასად!

ნახ. და თემა
მ. აბაშიძისა

უკვდავი



უკვდავი ხარ, უკვდავი! ამ სიტყვას გამარჯობის მაგიერ ხმარობდა მართლაც უკვდავი **ზაურ ბოლქვაძე**. ქართულმა იუმორმა დიდი დანაკარგი განიცადა.

გარდაიცვალა სატირისა და იუმორის ჟურნალ „ნიანგის“ მთავარი რედაქტორი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე ზაურ ბოლქვაძე. 32 წელი იმუშავა ჟურნალ „ნიანგში“, ლიტმუშაკიდან - მთავარ რედაქტორამდე. აქედან 18 წელი მთავარ რედაქტორად.

სიკვდილსაც კი ხუმრობით იხსენიებდა. ხშირად ამბობდა ჩემი ნეკროლოგი დაწერილი მაქვს, ნუ შეწუხდებითო, ასე იწყებო: „ბევრი ვიღვაწე, ბევრიც ვიწვალე და როგორც იქნა გარდავიცვალე“.

იუმორის ფასი იცოდა. მოკრძალებული იყო.


ნოდარ ღუმბაძეს თავის ნაწერებს სხვისე ჩაქველდნის შეაპარებდა ხოლმე. ბოლოს ნოდარიმ უტყრა: „გისწიქს ეს ნაწერები ერთი მომიყვანეო, ეტყობა ძალზე ნიჭიერიიო, ზაურიმ დიმილით უპასუხა: ეგ, მე ვარო.“

გავა დრო და ქართველ ხალხს ოქროს ფონდში ექნება დაცული ზაურ ბოლქვაძის შემოქმედება. ჯერ კიდევ ხალხში, მის მეგობრებში და ახლობლებშია მიმოფანტული მისი ჯანსაღი იუმორი. ჟურნალ „ნიანგის“ რედაქცია შეეცდება შეკრიბოს და მის საყვარელ მკითხველს პერიოდულად მიაწოდოს ჭეშმარიტი იუმორისტიკის, ნაღდი „ნიანგელის“ ზაურ ბოლქვაძის ნათელი სიტყვა.

შანი სინარულიძე

მე პოეტი ვარ -
შინა ვარ, ცა ვარ!..
მე პოეტი ვარ -
სივრცე ვარ,
დრო ვარ!..
მოგენატრებ სიკვდილი -
ჩაქვალ!..
მოგენატრებ სიციოქსლე -
მოქვალ!

ზაურ ბოლქვაძე



მისი არღავიფყებისა იყოს!

ოთახის ერთ მხარეს ირაკლი ვეშაპიძე იჯდა - გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ (სულ ცოტა ხნის წინათ „სტალინელი“ რომ ერქვა) რედაქტორი, მის პირდაპირ კი ზაურ ბოლქვაძის მაგიდა იდგა.

ჩამოვჯდებოდი ხოლმე „წერასატანილი“ სტუდენტები, გვებაასებოდა ზაური, გვეხუმრობდა, მომცრო ოთახი ვერ იტევდა მის გულიან სიცილს.

მაგალითად, ახალ ლექსებს რომ მივუტანდი, მარმარილოს ყელყელა ფანქრების ჩასაწყობზე სახაზავს დადებდა, ერთ მხარეზე რაიმე სიმძიმეს (კითხომ-გირას) მოათავსებდა, მეორეზე კი - ცალხაზიან რვეულის ფურცლებზე გადაწერილ ჩემს ლექსებს. თუ ფურცლები გადასწონიდა, დასაბეჭდია ლომო - მეტყობდა, თუ არადა, უკან გამომატანდა - წაიმუშავე ცოტა, დაამძიმეო...

ასე გადიოდა სანეტარო დღეები...

მერე, უკვე მოგვიანებით, „ნიანგშიც“ დამიბეჭდა რამდენიმე იუმორესკა, ზოგზე მითხრა (დაწუნებას მაინც მოერიდა) - ამათ დაბეჭდვა რად უნდა ლომო, გადაწერე და ისე გაავრცელე ხალხშიო...

მე შეამაყება, რომ იგი თავის უმცროს მეგობრად მთვლიდა და, განსაკუთრებით ბოლო დროს, წუთისოფლის უკუღმართობაზე, მეგობრების გაუტანლობაზე თავის სვაშიადს მიმხედა;

მე შეამაყება, რომ მისი დიდი ეროვნული მუხტით გაჯერებული პოეზია თითქმის ზეპირად ვიცი და დრო და დრო სულს საამოდ ეფინება ხოლმე.

ვინც ზაურს იცნობდა, ძნელია იგი დაივიწყოს.

მაშ, მისი არღავიფყებისა იყოს.

ვილენ მარღალიევილი



შანი სინარულიძე

რედაქციის დაგალებით

სულმნათი ილია, აკაკი, დავით კლდიაშვილი ან სერგი მესხი რატომ ჩვენს გვერდით არ არიან და ჩვენთან ერთად ამ აწეწილ-დაწეწილი ცხოვრების ჭირვარამს არ იზიარებენ-თქო, - ამას ვერ ვიტყვით იმიტომ, რომ კარგა გვარიანი დრო გავიდა მას მერე, რაც ისინი სულეთში გადასახლდნენ... მარკ ტვენი და სერვანტესი რატომ ქართველები არ იყვნენ-თქო, - ვერც ამას ვინატრებთ. არ იყვნენ ქართველები და იმიტომ. მაგრამ ნოდარ ღუმბაძე რომ იყოს ახლა ცოცხალი, - ამის ნატვრის უფლება ნამდვილად გვაქვს და ვნატრობთ კიდევ! იგი ყოველთვის საჭირო კაცი იყო საქართველოსთვის, ამჟამად კი - განსაკუთრებით! მისი ნათელი სიტყვა დღეს ბევრ სიკეთეს მოუტანდა მშობლიურ ქვეყანას და... ჟურნალ „ნიანგსაც“. „ნიანგს“ იგი თავის გამზრდელ ძიძას უწოდებდა და თანაც ენიძლავებოდა - „ჩემსავით არვის უყვარხარ, თუ გინდა დაგენიძლო!“ მართლაც ასეა - ნოდარი ჩვენი ჟურნალის სული და გული იყო! ეს ცალკე თემაა, ამაზე ბევრი მასალა და მოგონება არსებობს.

ფული ფულთან მიდისო, - რომ იტყვიან, ისეა; ნიჭთან ნიჭი მიდის, ჭკვიანთან - ჭკვიანი და ნოღა-

რის გარშემოც იკრიბებოდა მისი ამქარი, მისივე დარი იუმორისტები.

მაგრამ არც თვითონ ნოდარი მოსულა ცარიელ ადგილზე. მადლიანი ძველი ქართული იუმორი იყო ის ნოყიერი ნიადაგი, რომელზეც აღმოცენდა ნოდარის ელვარე ნიჭი.

„აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა...“

თაობათა მონაცვლეობის ეს ჯაჭვი რომ აღვადგინოთ, გადავწყვიტეთ, შემოვიღოთ რუბრიკა „ნიანგის“ არქივიდან“ და ნომრიდან ნომერში გავაცოცხლოთ ახლო თუ შორეული წარსულის ქართული იუმორის მარგალიტები, რომლებიც ასე უხვად არის მიმოფანტული საქართველოში.

ამ საქმეში თანადგომას ვთხოვთ ჩვენს მკითხველებსაც, რომლებსაც რაიმე ურთიერთობა აქვთ „ნიანგის“ ძველი თუ მომდევნო თაობების ავტორთა საოჯახო არქივებთან, სადაც შეიძლება ინახებოდეს ზემოხსენებული რუბრიკისათვის გამოუქვეყნებელი მასალები.

ახლა „სეფე სიტყვა“ ნოდარ ღუმბაძეს მივცეთ!

ნოდარ ღუმბაძე

ბენერალური რეპეტიცია

მე და ის ერთად ვისხედით სკოლის უკანა მერხზე, დაფისკენ მიბრუნებულ მასწავლებელს ერთად ვუყოფდით ენას და ერთად ვაბარებდით საშემოდგომო გამოცდას. ეს იყო 15 წლის წინათ. 15 წელია, არ მინახავს იგი... გულისფრიალით ავედი მეოთხე სართულზე და თითი ელექტროლილაქს დავაჭირე. ნეტავ, თუ მიცნობს?

- ოი, მიგახმა ეგ ხელები! როდის გადაეჩვევი ასე გიჟივით რეკვას?! - მომესმა შიგნიდან.

სასწრაფოდ ავიღე თითი დილაკიდან და გავწითლდი. კარი 7-8 წლის ქერათმიანმა გოგონამ გამიღო. გამიკვირდა.

- ნუგზარ ამანათიძე აქ ცხოვრობს, გოგუნა?

- ჩემი მამაა.

- მე ბიძია შოთა ვარ, მამას ამხანაგი.

- რა კარგია, რა კარგი! მამუკა, მამას ამხანაგი ბიძია შოთა მოვიდა! - გასძახა ვიღაცას გოგონამ და ოთახში შეკუნტრუნდა. შევეყვი. ფეხებში 6-7 წლის ბიჭუნა შემომებლანდა.

- მამიკო და დედიკო სახლში არიან?

- არ არიან, მალე მოვლენ.

- თქვენ რაღას აკეთებთ? - ვკითხე მე.

- სახლობანას ვთამაშობთ, მე მამა ვარ, მზია კი - დედაა! - ამიხსნა მამუკამ.

- ითამაშეთ, ითამაშეთ, პატარებო! - ვუთხარი, პაპიროსი გავაბოლე და ფიქრი დავიწყე. ნეტავ, როგორ ცხოვრობს ნუგზარი? როგორ მოეწყო? ბედნიერი თუა?..

უცებ ბავშვების ხმა მომესმა და შიშისგან თმები დამიხუჭუჭდა!..

- რა გაქვს, ქალო, დღეს სადილად?! - დაბოხებული ხმით კითხულობდა მამუკა.

- ბუს კვერცხები! რა დამიტოვე და რას მთხოვ?! - იყო მზიას პასუხი.

- არ მოიშალე მწარე ლაპარაკი?

- შენ რა გენადვლება, შეხვალ რესტორანში და გასკლები. ჩვენ თუ გვინდა რამე, არ კითხულობ!..

ცივმა ოფლმა შუბლი გამიყინა.

- წუხელ ვისთან ეგდე? - დაიწყო ახლა მზიამ და პატარა ხელებით დონიჯი შემოიყარა.

- არ არის შენი საქმე!

- არ არის, ხომ?! მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა საყვარლებში სიარული!

(დასასრული მე-4 გვ.)

- ლაო, ლამ გაგაგიჟა?!
- აღარ შემიძლია მეტი, წავალ ჩემს სახლში და, როგორც შენი ყურების ნახვა არ გედირსება, ისე ამ ბავშვების ნახვას არ გადირსებ!
- ჩაიხედავ სარკეში და დავინახავ ყურებს! - იხუმრა მამუკამ.
- შენ ჩაიხედე კუბოში და შენ დაინახე სიკვდილი!
- აზლუქუნდა მზია, თოჯინებს ხელი სტაცა და კარებისკენ წავიდა. შემაჟრჟოლა.
- სად მიდიხარ, ქალო?! - შეჰკრა წარბი მამუკამ.
- რა შენი საქმეა?!
- თქვი, ქალო, თორემ გავგიჟდები და დავამტვრევ ყველაფერს!
- რაღა დაგრჩა დასამტვრევი?!
- ბავშვები დატოვე და შენ, სადაც გინდა, წაეთრიე!..
- შენი თავის გახეთქვამ!
- ბიჭი მაინც დატოვე!
- არა-მეთქი! - იწივლა მზიამ და ფეხები დააბაკუნა.
- დატოვე, თორემ ხომ იცი?! - დააბრიალა თვალები მამუკამ და მზიას მუთაქა ესროლა.
- ვის უბედავ, შე მხეცო, ცემას?! - შეიცხადა მზიამ და ისე ჩასცხო ძმას თოჯინა თავში, რომ მამუკამ

თვალები ამოატრიალა!..
 მეტის მოცდა აღარ შეიძლებოდა, ჩავვარდი შუაში გასაშველებლად.
 - გრცხვენოდეთ, ბავშვებო ვინ გაიგონათ ეს მაში?!
 - თავი დამანებე, ქეთო! თქვენ რა იცით მეზობლებმა, რა დესპოტია ეგ?! მაგან დამაბერა და გამიშრო სისხლი! მაგან მოსპო ჩემი ახალგაზრდობა! მაგან გამაყვითლა და დამაჭკნო ყვავილივით. შეხედე, რას ვგავარ?! - მეუბნება მზია და თან წითელ ლოყებზე ხელებს ისვამს.
 - არ დაუჯერო მაგ ქაჯს! - მეხვეწება მამუკა.
 - დაწყნარდი! - ვიღრიალე. ბავშვები შეკრთნენ. სული რომ მოვითქვი, ორივეს დედა დავაფიცე, - სახლობანა აღარასოდეს ითამაშოთ-მეთქი, - და გარეთ მთვრალივით გამოვედი!
 „ო, რა საათივით აუწყვია საქმე ჩემს ძმაკაცს?! რატკბილი ცხოვრება ჰქონია?!“ - ვფიქრობდი გზადაგზა და მამუკა და მზია მაგონდებოდა, რომლებიც, ვინ იცის, ოჯახური დრამის რომელი მოქმედების გენერალურ რეპეტიციას გადიან ახლა?!

1956 წელი



წინ, ჯანმრთელობის სადარაჯოსაკენ!

ნახ. და თემა მ. აბაშიძისა

საქეპა

დავბერდი და ვატყობ რომ
სისხლი დაშრა, გაცივდა,
ქოჩორი და კბილები
ერთიანად დამცვივდა.

მუხლი მქონდა მგელივით,
მხედველობა ქორივით,
დამარილებული ვარ
რაჭველების ლორივით.

ვვარჯიშობდი დღედაღამ,
ქურციკივით დავრბოდი,
მოვტყდი, შარდი დამიტკბა,
როგორც ატმის კამპოტი.

კბილის ნაცვლად ჩანა მაქვს,
თვალის ნაცვლად სათვალე,
სკლეროზი მაქვს ისეთი
ოცამდე ვერ დავთვალე.

გამამხნევა ექიმმა,
არ არისო საშიში,
კარგი კვება გინდა და
ფიზიკური ვარჯიში.

ვარჯიშს ხვალვე დავიწყებ,
ეგ არც კი ღირს სათქმელად,
მაგრამ ჩემი პენსია
თუ მეყოფა საჭმელად!

ღმერთო მალე შემატე
ის რეგენი ჩვენს სიას,
ვინც მასხარად გვიგდებს და
გვაძლევს მცირე პენსიას.

პენსიონერების სახელით
ნიკოლოზ იოსებაძე



უსიტყვოდ

ნახ. ლა თემა მ. აბაშიძისა

პროსკოპი ზოგიერთათვის

(ფსიქოთერაპევტ გივი მაზმიშვილის სემინარების მიხედვით)

„ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილი, უძილობა, მალალი თუ დაბალი წნევა, გულის ფრიალი, - დღითიდღე და სეანსიდან სეანსამდე, თანდათანობით გაგიქრებათ, მოგცილდებათ და აღარ გექნებათ, აღარ გექნებათ!“

(ფრაგმენტი სეანსიდან).

ვისაც გაქვთ არმად ნაშოენი ჭარბი ქონება, აურაცხელი ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი, უთვალავი ფულები: ლარები თუ დოლარები, - ნელ-ნელა და თანდათანობით, თვიდან თვემდე და ყოველი დაკითხვისას გაგიქრებათ, მოგცილდებათ და აღარ გექნებათ, აღარ გექნებათ!

ვისაც გაქვთ სამი, ოთხი და მეტი ფეშენებელური, მრავალთახიანი საცხოვრებელი ბინა ვაკეში, მთაწმინდაზე, რუსთაველსა თუ სოლოლაკში, კეთილმოწყობილი კერძო აგარაკები წყნეთში, კოჯორში, მანგლისსა თუ კიკეთში, - ნელ-ნელა და თანმიმდევრულად, რაიონული სასამართლოდან ქალაქის სასამართლომდე, სულ რამდენიმე თვეში ჩამოგერთმევათ და აღარ გექნებათ, აღარ გექნებათ!...

ვისაც გაქვთ კუპონებზე შეძენილი კაფე-ბარები, გასტრონომები თუ საცხოვრებელი ფაბრიკები, ქარხნები თუ ახლად გახსნილი მოღური რესტორნები, ავტობუსები, კატარლები თუ თვითმფრინავები, - ნელ-ნელა და თანდათანობით, საქმის ყოველი ახალი განხილვისას და უზენაეს სასამართლოზე ერთხელ და სამუდამოდ მოგმორდებათ, ჩამოგერთმევათ და უკან აღარ დაგიბრუნდებათ, აღარ დაგიბრუნდებათ!



ვინცა ხართ ყალბი დაპირებებით დეპუტატებად არჩეულები, ვისაცა გაქვთ მინისტრების, მერების, გამგებლებისა თუ გუბერნატორების მხედრობით, საძმურად თუ გიორგაძისებურად გაკვარაზჭინებული სკამები, - ნელ-ნელა და თანდათანობით, კონტროლის პალატის რეიდიდან პარლამენტის საგანგებო სხდომამდე მოგერყევით, მოგიფამფალდებათ და გამოგეცლებათ!...

ახლა დაგიტვლით შვიდიდან ოც წლამდე, შვიდიდან ოც წლამდე! ციხეში გატარებული ყოველი წელი თქვენზე სასიამოვნო კეთილსმყოფელ ზემოქმედებას მოახდენს, სასიამოვნო კეთილსმყოფელ ზემოქმედებას!... ვიწყებ თვლას: შვიდი, რვა, ცხრა წელი... მოგცილდათ ზედმეტი სიმსუქნე, სუნთქავთ თავისუფლად, ძილში აღარ ხროტიხებით და ზონარის შეკვრა აღარ გიძინელებათ, არ გაგიძინელებათ!...

ათი, თერთმეტი, თორმეტი წელი... გაგიქრათ სიმდიდრისადმი სწრაფვა, უსიამო გრძნობა გეუფლებათ ოქრო-ვერცხლისა თუ ბრიალიანტების გახსენებაზე!...

ცამეტი, თოთხმეტი, თხუთმეტი წელი... სრული კონფისკაცია უყვეს თქვენს ზუთსავე საცხოვრებელ ბინას, კერძო აგარაკებს კიკეთსა და მანგლისში, აუქციონზე გაიყიდა თქვენი ანტიკვარული ავეჯი და აღარ გაწუხებთ მისი მოვლა-პატრონობა. მისი მოვლა-პატრონობა აღარ გაწუხებთ!...

თექვსმეტი, ჩვიდმეტი, თვრამეტი წელი... მეუღლე და უფროსი ქალიშვილი, გაითავისეს რა ქართული ანდაზა - გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო - იოლად დასპეციალდნენ იმერული ყველითა და კახური ზეთით ვაჭრობაში!...

ცხრამეტი წელი... ასე და ამრიგად, ნელ-ნელა და თანდათანობით, თვიდან თვემდე და ყოველ ახალ წელს თქვენ ტყუბისცალივით ემსგავსებით ჩვენი საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს, ჩვენი უარქონო, მაგრამ შეგნებულ, პატიოსანი მოქალაქეების უმრავლესობას, რომელთაც სულ მალე დაუბრუნდებათ!...

ოცი წელი... სეანსი დასრულდა!...



- ეს გოჭი რომ ბაზრამდე მიმაყვანინო, რას გამომართმევ?
- მაგ გოჭს!

ნახ. ს. მრისთავისა
თემა ბ. მერაპილიშვილისა

ქალბატონი ტასიკო

ქალბატონი ტასიკო

ქალბატონმა ტასიკომ
კარს დაადო ურდული,
ტრაპიზონში იყიდა
„დუბლიონკა“ თურქული...
ამბობს: ჩემი მიმოსვლით
გოგო მსურს გავამზითვო,
ყველაფერი ვიშოვე,
ჩემი სილამაზით!

რუსი ცოლი

რუსი ცოლი ვერ ჰგუობს
ნიკოს ოქროდ ანონილს,
ამბობს: — დილით მაცონი
შუადღისას — მაცონი...
არსაიდან ტანცები,
არცა კაცი სხვა ცონის,
დღეში სამჯერ იძახის:
სანოლი და სანოლი...
უკვე „რაზვოდისაკენ“
გადიხარა სასწორი!

ავტონისაპეტორი ყოფილ მასწავლებელს

— გზაზე უნდა დაგაყენო! —
დამაფიქრდა შენგან განა?
ავტონისაპეტორი ვარ და
აგერ პატ. მასწ. გზაზე ვდგავარ!

გაგონილი და მოგონილი ფრაზები

X X X

დაგნიშნავენ მმართველსავეით,
თუ „ზევით“ გყავს ნათესავი!


X X X

ის შეირთო პროკლემ ცოლად,
ვინაც გააპროფესორა!

X X X

უცხოური სიგარეტით
შეიძინა ნივა თეთრი!

ბ. მებრეველი



- ბიჭი გვეყოლა, ბიჭი!
- ვის ჰგავს, ვის?
- შენ არ იცნობ, არა!

ნახ. ჯ. ლოლუასი
თემა ბ. მებრეველიშვილისა



ახლანან



ახლა

აგერ ახლა, პურის რიგში
ვათენებდით, ძამია, -

დღეს კი ყოველ მხრიდან გვიტევენ
პურვაჭართა არმია.

პოლიტსემინარი

თემა №1

„როგორ გადავჭრათ აფხაზეთის პრობლემა (ერთხელ და სამუდამოდ)“

ენგურის ხიდზე გავაბათ ფართე და გრძელი თეთრი ლენტატრანსპარანტი, რომელზეც დიდი წითელი ასოებით დავანეროთ: „აფხაზეთის პრობლემა“. ამის შემდეგ, მთელი ლტოლვილი მოსახლეობის თვალწინ, ცისფერი მაკრატილით ტრანსპარანტი წარწერაზე გადავჭრათ ორად. წარწერის ერთი ნახევარი ჩავაბაროთ სეპარატისტებს, მეორე ნახევარი — ეროვნულ ბიბლიოთეკას.

თემა №2

„როგორ მოვუაროთ სამაჩაბლოს (ე. წ. სამხრეთ ოსეთის) პრობლემას“.

ამჯერად, ფანერის ფირნიშზე ორ ენაზე (რუსულად და ქართულად) დავანეროთ: „სამაჩაბლოს (ე. წ. სამხრეთ ოსეთის) პრობლემა“, მივაკრათ გორიდან ცხინვალისკენ მიმავალი ტრასის გაყოლებით მდგარ ყველაზე დიდ ჭადარს და მოვუაროთ — ხან ცხინვალის მხრიდან, ხან — გორის მხრიდან.

თუ ფირნიში მოიპარეს, ახალ-ახალი დავუკვეთოთ და ახალ-ახალ ჭადრებზე გავაკრათ.

ლერი ჩანტლაძე



პარლამენტის სხდომის წინ

ნახ. და თემა ჯ. ლოლუასი



- ისეთი რა დავწერო, ბატონო რედაქტორო, თქვენ რომ მოგეწონოთ?
 - ხელწერილი დაიწერე, ჩემო ივანე, რომ წერას თავს დაანებებ!

ვივლა ბასტამე

ჩვიდეტი ჩჩევა ახალ რძალს

1. ყველას და ყველაფერს კონტროლის თვალით ნუ უყურებ! ბოლოს და ბოლოს უნდა გაიგო, რომ შენ რძალი ხარ და არა კონტროლის პალატის წარმომადგენელი.
2. ნუ გგონია, რომ ყველას ისე ჰგონია, როგორც შენ გგონია... ორიგინალობა ჩვენს დროში არც ისე ორიგინალურია.
3. წარმოიდგინე, რომ დედამთილი ცეცხლია... ისე ახლო ნუ მიხვალ რომ დაიწვა და ნურც ისე შორს დადგები, სითბო ვერ იგრძნო...
4. თუ მეტი არაფერი შეგიძლია, დედამთილს რომ ხელს არ შეუშლი, ისიც დახმარებად ჩაგეთვლება.
5. არ ეჭვიანო! გასსოვდეს, რომ ეჭვიანობა ამცირებს ადამიანს და ადიდებს მანძილს ცოლ-ქმარს შორის.
6. ნუ ცდილობ დედამთილის გულის მოგებას... თუ ეს მართლა გულით გინდა, თამაშს თავი დაანებე, რადგან დედამთილი ლატარია არაა.
7. თუ გინდა რომ საკუთარი ნერვები წესრიგში გქონდეს, გაუფრთხილდი... სხვის ნერვებს.
8. იფაეო მოდაზე აყოლილი, მაგრამ ოჯახის ბიუჯეტზე დაყოლილი.
9. თუ გითხრეს: დედამთილი გიჩივისო, არ თქვა, რას მიჩივის ის კუდაინო?.. რადგან ეს უკვე ნათქვამია და არა ერთხელ.

10. გინდა თუ არა, უნდა შეეგუო იმას, რომ ოჯახის თავი ქმარია... თავი იმით შეგიძლია დაიმშვიდო, რომ შენ ხარ ის კისერი, რომელიც როგორც ცნობილია, თავის ნებაზე ატრიალებს ქმრის თავს...
11. შენ დედამთილისთვის შეიძლება ერთერთი იყო, დედამთილი კი რძლისთვის ყოველთვის ერთადერთია... ესეც მხედველობაშია მისაღები...
12. ყოველთვის გულთან ნუ მიიტან დედამთილის შეფასებას, რადგან იგი არც საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეა და არც შენ ხარ აბიტურიენტი.
13. ქმარმა თუ საკუთარ ქონებად ჩაგთვალა, შენ ისღა დაგრჩენია, დაუმტკიცო მას, რომ ეს ქონება მოძრავია - მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ თვითდაფინანსებაზე გადახვიდე...
14. ეცადე უნერვიულოდ აღიქვა „მთილი“. იგი უბრალო დანაშატი და დაახლოებით „ვიცეს“ ნიშნავს. ისე როგორც ვიცე-პრეზიდენტი, დედამთილიც ვიცე-დედაა.
15. როგორც ნათქვამია, ქალს მართლა შეუძლია ქმარი ცივ ქვაზე დაასახლოს... მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს დედამთილის ცივ ქვაზე დასმის ხარჯზე...
16. მაშინაც ნუ იქნები მკავე ხასიათზე, როცა გემკაეება...
17. ხშირ-ხშირად თუ კითხულობ: დედამთილი რას მიტოვებო, ბარემ ისიც თქვი: სად აგზავნი იმ უბედურს და როდის?

ჩვენს მოვსახურ სინკრეში!


დღეს რაც ხდება ჩვენში, ამას ნაღდად აღარ ველოდი (დარდისაგან - თმახუჭუჭა კაცი - გავხდი მელოტი..)

ხალხი სულ მთლად შეიცვალა, აღარც ქალს ვცნობთ, აღარც კაცს, ზოგს რომ „გამარჯობას“ ეტყვი, შეიძლება, გაგარტყას! სიკეთეზე, სიახლეზე ჩამიჩუმი არ ისმის, დაიკარგა ცოდნის ფასი, პროფესიონალიზმი.. ყაჩაღი და არაკაცი ზნეობაზე ქაქანებს, პროფესორი ნახირს მწყემსავს, დოცენტი კი - მანქანებს. მუსიკოსი ფილებს აგებს და არტისტი ლუდს ყიდის, ყალთაბანდი თითს გვიქნევს და ბრძენს ატყუებს ცრუ ფლიდი!

ინჟინერი წაღებს კერავს, დირიჟორი აცხობს პურს, მეჩაიე აქირავენს ჩამოწერილ ავტობუსს.. თვით გარაჟის გამგე ჩრდილში... ზის, კამათელს აგორებს, ფერმის გამგე კულტსახლს შეფობს, მომღერალი - სალორეს. ყველა ცდილობს - რაღაც სახრავს, სახალტუროს მიაგნოს, ექიმი ჯერ დოლარს გვართმევს, მერე გვისვამს დიაგნოზს!

ქმარი მუქთად ჭამს, ქეიფობს, ცოლი კი ქმრის ვალს ფარავს, პარლამენტის წევრი წილში გაჰყავს ცირკის მასხარას!.. ეგ რა უბედურება და ეგ რა ჭირი დაგვჩემდა?! - კუბოებსაც იპარავენ (მოახმაროთ გამჩენმა!). გული წუხს და გული ტირის, ამდენ ვარამს ვერ იტევს, ხუთმა კაცმა თუ ინება, გახსნის უნივერსიტეტს!.. ირგვლივ ყველგან მაფიაა და შეკრული წრეა, ეკლესია-მონასტრებში შედიან-გამოდიან! ჩვიდმეტი წლის ღლაპი დადის „მერსედესით“ და „ჯიპით“, ბაღ-ბოსტნებში ქეიფობენ გადმოუგლიათ ღიპი. ლექტორობას შევეშვი და უკვე ვნანობ ძალიან, „პროკოფიჩად“ მიცნობდნენ და ახლა მქვია ვანია! წყველას ვუთვლი იმ ჩვენს ყოფილ რაიკომის შეფმდივანს, - კომუნიზმში შევალთო! - და შინაც ვეღარ შევდივარ! ვეღარ მიტანს შვილიც, ცოლიც (უკვე დაღა გაყრის დრო). კასრს დავემებ ბურახისას, - იქნებ ლუდი გავყიდი!..

ჰანო ცინცაძე



- წუხელ ყაჩაღებს უწამებიათ გახურებული უთოთი!
 - კი მაგრამ ორი კვირაა ჩვენს კორპუსში ელექტროენერგია არ ყოფილა და როგორ აწამეს?
 - „დეიჟოკი“ ჩაურთავეთ, „დეიჟოკი“!

ნახ. და თემა ჯ. ლოლუასი

საბარტოვილი
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა



- ექიმო! გაუძლებს გული ოპერაციას?
- გული კი გაუძლებს, ჯიბემ თუ გაუძლო!

ნახ. და თემა ა. ქრაძისა

ჯიბიპიას მონაცოლი

რასაც აქ ჯიბი (ჯიმშერი) ყვება, უმეტესობა ნაღდია, მისი პრაქტიკიდანაა, ზოგი მოგონილია და ზოგიც გაგონილი, თანაც ზღვაში წვეთია. პოდა, ბატონ ჯიმის ვთხოვთ უურნალ „ნიანგში“ თანამშრომლობას.

X X X

კაბინეტის კარები შემომიღო კახელმა მძღოლმა. მომესალმა და მთხოვა, იქნებ „პრავა“ დამიბრუნო.

— რატომ ჩამოგართვეს-მეთქი, შევეკითხე.
— რა ვი, პოლიციელი გადამეკიდა: „გლუჩიტელიდან“ ბოლი გამოდისო. კაცო, მა საიდან უნდა გავიდეს ეს ოხერი?!

X X X

ქუთაისში საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევი მძღოლი გააჩერა საგზაო პოლიციელმა.

— რატომ არღვევ? ნიშანი ხომ ჰკივია, ვერ დეინახე?

— ნიშანი კი დეინახე, მარა შენ ვერ დაგინახე — უპასუხა მძღოლმა.

X X X

ავტომანქანამ წითელ შუქზე გადაკვეთა გზაჯვარედინი და ქალაქის მოედანზე შევიდა.

პოლიციელმა გაჩერების ნიშანი მისცა და უთხრა, წრეში შემობრძანდიო.

წრეში პრავა უნდა წამართვა? — შეწუხდა მძღოლი. არა, ლახტი უნდა გეთამაშო, — დაამშვიდა პოლიციელმა.

X X X

ტაქსის მძღოლი შეწუხებული შეეარდა მეზობელ ექიმთან საღამო ჟამს: მიშველე, ჯუმბერ! სიბნელეში შემეშალა და „პივის“ მაგივრად ერთი ბოთლი „ტარმანოი ჟიდკოსტი“ დავლიე.

მაგისტანა შემთხვევა არ მქონია. რა გიქნა, ბიჭო. ერთ

რამეს კი გირჩევ, ასე არ წახვიდე, წერეთლის ქუჩა სწორია, აგერ გადი ჯაფარიძის ქუჩაზე, ძალიან დაღმართია, დეეშვი და რო ჩახვალ თეატრთან „რეზკად“ დაატორმუხე, თუ გაასხა, გადარჩები, თუ არა მოგეხსებაო, — დაარიგა ექიმმა.

X X X

სასწრაფოდ გაამზადე ავტობუსი და ეხლავე გაუშვი 30 კაცი ბათუმში — გასცა განკარგულება უფროსმა. ახლავე გაეშვი, ოღონდ კანისტრებით მოვამარაგებ, რადგან პატარა ავზი აქვს და ბათუმამდე არ ეყოფა — მეთქი, ეუპასუხე.

რად უნდა კანისტრები, გააყოლე მეორე ავტობუსი და გზაში გადაუსხამსო, — მირჩია უფროსმა.

X X X

რას წვალთ ამდენ ხანს. მაგვიანდება, დაქოქე მანქანაო. — შემოუძახა თავის მძღოლს უფროსმა.

— რა ვიცი, „ისკრა“ არა აქვსო, — მიუგო შეწუხებულმა ხელქვეითმა.

მერე, წადი და იყიდე, განა რა ღირს, ეგ ისკრაა, თუ რაღაც უბედურება, — უსაყვედურა უფროსმა და ათ ლარიანი გაუწოდა.

X X X

მორიგე კარნახობს მონაცემებს გატაცებული ავტომანქანების შესახებ და პოლიციელები იჭერენ წიგნაკებში. გაიტაცეს ავტომანქანა „უიგული“ 14-06 გგა, სალათის

ფერი. ერთ ერთმა პოლიციელმა წერა შეწუხება და შეხედა მორიგეს:

უფროსო, სალათაში კიტრიც არის, პამიდორიც, მწვანილიც... რა ფერი ჩავწერო?! — შეეკითხა დაბნეული პოლიციელი.

X X X

სიღნაღთან თბილისელ მძღოლს მანქანის საბურავი დაეშვა; სათადარიგო არ ჰქონდა, დაშალა დაზიანებული, ამოიღო კამერა და დაუწყო ვინმე გამგელს ლოდინი.

გამოჩნდა პატარა ბიჭი, რომელიც სამთვლიან ველოსიპედზე იჯდა და ძლივს მოაგორებდა, მძღოლს გაუხარდა და შეეკითხა: ბიჭი, არ იცი, კამერას სად აწებებენო.

სადაც გახვრებილიაო — მიუგო ბაღდაძე და არხეინად ჩაუარა მძღოლს.

X X X

ქუთაისიდან ლენტეხში მიმავალი სვანები ჯაჭვის ხილთან „კამაზის“ ტიპის თვითმცვლელის ძარაში მოთავსდნენ. ერთერთი, როგორც ჩინიანი; კაბინაში ჩაჯდა. სიცხე — თაკარებაა. მძღოლი გაღვივდა პერანგით ზის და ოფლად იღვრება. უფროსი ფორმაშია და ითმენს. მანქანამ კარგა მანძილი რომ გაიარა (ტვიშის მისადგომებთან), უფროსმა მძღოლს თხოვა: — გააჩერე, თუ არა დავიხრჩვი სიციხით, თან კბილები ქვიშით ამევსო, ჯობია ძარაზე ავალო, ავიდა. მანქანა დაიძრა, უფროსმა სასიამოვნო სიგრილე იგრძნო თუ არა, კაბინაში მძღოლს დაუწყო ძახილი: ამოდი ბიჭო, შენც აქ დაჯექი, მანდ რას იკლავ თავსო.

ჯიმი სხირტლაძე
პოლკოვნიკი



- კი მაგრამ, დაჭერის არ გეშინიათ?
- ციხეში აღვილი არ არის და როგორ უნდა დაგვიჭირონ?!

ნახ. ჯ. ლოლუასი
თემა შ. სინარულიძისა

„ნიანგის“

ანკეტას პასუხობს

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების
რესპუბლიკური ინსტიტუტის რექტორი,

ფილოლ. მეცნ. კანდ.

გია მურღულია



1. ცხოველის უფრო გეშინიათ თუ ადამიანის?

შიშის რა მოგახსენოთ - ერთობ ფარდობითი ცნებაა, მაგრამ, ცხადია, მაინც არსებობს. მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებსაც არაფრის ეშინიათ, არც ვიცი, რეალურად არსებობენ თუ არა ასეთი ადამიანები. გვარიანად მაშინებს მაგალითად, უხსენებელთან შეხვედრა, არც ზოგიერთი ავი ძაღლის „გაცნობა“ დიდად სასურველი. ღომს ან ვეფხვს „ბუნებრივ ვითარებაში“ ჯერ-ჯერობით, მაღლობა ღმერთს, არ შევხვედრივარ, თორემ არა ვარ დარწმუნებული, რომ არ შემეშინებოდა.

ადამიანის, ზემოხსენებული თვალსაზრისით, არ მეშინია, თუმცა რაც იგულისხმეთ თქვენს შეკითხვაში, ჩემთვის სრულიად ნათელია — სამწუხაროდ, ადამიანში ჯერ კიდევ არ მომკვდარა ცხოველი.

2. რა დამოკიდებულება გაქვთ, კერძოდ, ურნალ „ნიანგთან“?

ურნალ „ნიანგს“ სხვადასხვა დროს რამდენიმე განსხვავებული ფუნქცია ჰქონდა, სხვათაშორის — ყველა მნიშვნელოვანი. საერთოდ, ჩემი აზრით, საზოგადოებისათვის სატირაც საჭიროა და იუმორიც. არ არსებობს სიცილე უფრო ძლიერი იარაღი, ისევე როგორც — ღმირზე მეტი გამოხატვა კეთილგანწყობისა. სხვანაირად, ცხოვრება წარმოუდგენელია.

ოდონდ ერთია: ყველაფერს პროფესიონალიზმი ჭირდება! არაფერია იმაზე სასაცილო და საცოდავიც, როგორც უკბილო ხუმრობა, როცა კაცი ანეკდოტს, უბრალოდ სასაცილო ამბავს ყვება ან ხუმრობს — ყოველთვის ბეწვის ხილზე გადის, საიდანაც ადვილად შეიძლება გადავარდეს უგემოვნობის მდინარეში.

„ნიანგში“, არ დავმალავ, ძალიან მაღალი რანგის მასალაც მინახავს და ნაკლებმოსაწონიც (ჩემი აზრით), ეს ურნალი სწორედ იმიტომ მიყვარს, რომ ბევრი ჩემთვის ძვირფასი ავტორის სახელი უკავშირდება (მარტო ნოდარ დუმბაძე რად ღირს!) და კარგი პუბლიკაციებიც უფრო ამახსოვრდება კაცს.

3. ხუმრობა უფრო გიყვართ თუ მასხრობა?

მასხრობა საერთოდ არ მიყვარს. იუმორის გარეშე კაცობრიობა ვერ განვითარდებოდა, რასაც ვერ ვიტყვი „მაიმუნობაზე“. ვინც კარგად ხუმრობს — „წინ მიდის“, ვინც მხოლოდ მასხრობს — „უკან ბრუნდება“. რაც შეეხება „ბოროტ“ მასხრობას, ეს ადამიანის დაბალი კულტურის ერთი თვალსაჩინო გამოვლინებაა.

4. უყურებთ თუ არა სამხრეთ ამერიკულ სერიალებს?

(თუ „პო“, რატომ? თუ „არა“ რატომ?)

არ ვუყურებ — ეს, ჩემი აზრით, პრიმიტივიზმია (მომიტვეონ მოყვარულებმა!) როგორც ჩანაფიქრის, ისე განხორციელების თვალსაზრისით. სხვადასხვა სერიალის რამდენიმე სერია კი მინახავს და მიკვირს, როგორ შეიძლება სიუჟეტის განვითარება ასეთი თიდიდან გამოწოვილი „იმპულსებით“ ან რატომ არის აუცილებელი, რომ ერთი და იგივე ამბის შესახებ ყველა პერსონაჟი სათითაოდ მოუყვეს დანარჩენებს...

5. მე ვიცი, რომ წლების განმავლობაში ავროპელებით ანეკდოტებს.

რამდენი შეავროვეთ და როგორი ანეკდოტები გიყვართ?

ო, ეს ჩემი პოზია! „ვალარებ“, რომ ვავროვებდი ანეკდოტებს. დაახლოებით ათი ათასამდე მოგროვდა (სიმართლე გითხრათ, ვარჩევდი კიდევ, ყველა „ნახევარფაბრიკატს“ არ „ვიღებდი“ კოლექციაში). მერე სადღაც წავიციე, რომ იტალიელს 25.000 შეუგროვებია და მთელი ენთუზიაზმი „ჩამიცხრა“. ახლაც (და ყოველთვის!) გულგრილად ვერ ვუსმენ კარგ ანეკდოტს.

ძალიან მიყვარს მოკლე ანეკდოტები; აზრის სისხარტე, ლაკონიურობა, დამუხტულობა, მოულოდნელი რაკურსი — ეს ყველაფერი ანეკდოტის აუცილებელი ატრიბუტებია.

კიდევ ერთი რამ — თამაღობასავით ანეკდოტის მოყოლაც „პროფესიაა“. კარგი მთხრობელი საშუალო ანეკდოტს „გააცოცხლებს“ (ცუდის გაცოცხლება შეუძლებელია!), ცუდი კი გენიალურსაც დაასამარებს.

6. პოლიტიკური ანეკდოტები თუ გიყვართ? ხედავთ თუ არა პიკანტურ ანეკდოტებში პოლიტიკურ საფანელს?

პოლიტიკური ანეკდოტები ცალკე „ჟანრია“ — ზოგჯერ მკვეთრ პოლიტიკურ გამონათქვამზე უფრო მწვავე და მიზნობრივიც. ძველი გამონათქვამია: სანამ ხალხი დრტვინავს, იმდენად საშიში არ არის, სიცილს რომ დაიწყებს სახელმწიფოსა და პოლიტიკურ მოღვაწეებზე — მერე უფრო საფრთხილოა.

ბრეჟნევის დროინდელი ანეკდოტია:

რომელიღაც დიდი თანამდებობის სამხედრო პირს ასაფლავედნ. მთელი პოლიტიკური ესწრება. დაკრძალვის შემდეგ, საღამოს შეკრებაზე ბრეჟნევი აცხადებს: „ეს ჩვენი პოლიტიკურის წევრები საშინლად მოხუცდნენ“



და ინდეფერენტული გახდნენ; მე მგონი, სკლეროზი ჭირთ და ჯენტლმენობაც დაავიწყდათ, როცა ორკესტრმა დაუკრა, მხოლოდ მე მოვიფიქრე, რომ მანდილოსანი საცეკვაოდ გამეწვია“.

რაზეც გეცინება გულდიად (თუნდაც ფიქრიანი ქვეტექსტით), არ შეიძლება, არ გიყვარდეს.

რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, ასე ვიპასუხებთ: ჩემი აზრით, პიკანტურ ანექდოტს იმდენი ღირსება აქვს, რომ მათი დაყვანა მხოლოდ პოლიტიკურ საფანტაზმად გამართლებული არ იქნება.

7. თქვენი საყვარელი ანექდოტი?

ასე ერთსა და ორს, გნებავთ ათსაც ვერ გამოვყოფ. სხვადასხვა დროს, ადგილს, ვითარებას, გარემოცვასა და განწყობილებას სხვადასხვა ანექდოტი უხდება და „საყვარლდება“.

8. როგორღე სიტყვა თქვენი სურვილის გამოსახატავად...

იქნებ ჩვენი ტელევიზიისთვის, თუნდაც თქვენი ჟურნალისათვის მისაღები იყოს ასეთი იდეის განხორციელება:

მოეწყოს ანექდოტების მთქმელთა კონკურსი (თუ გნებავთ, ოლიმპიური გამოთიშვის პრინციპით). საქართველოში, მადლობა ღმერთს, ამ „ხელობის“ წარმომადგენლები არასდროს დალეულან. ზოგიერთი შატაგანი, პირდაპირ ვიტყვი, ვირტუოზია. მე შევსწრებივარ სანაძლეს, როდესაც ორმა ჩემმა მეგობარმა გადაწყვიტა გაერკვიათ, ბოლოს და ბოლოს, რომელი მათგანი იყო უკეთესი ამ საქმეში (ჯერ ერთი ყვებოდა ანექდოტს, შემდეგ მეორე. თუ პირველის დაწყებულს მეორე გააგრძელებდა, ანექდოტი არ ითვლებოდა). სადამოს 8 საათზე დაწყებული შეჯიბრი მეორე დღის 10 საათზე ჩემს თვალწინ ყაიმით დამთავრდა!

ერთი კია! ტელევიზიით ან სტენიდან ყველა, თუნდაც ძალიან „მაგარი“, ანექდოტის მოყოლა არ შეიძლება. რას იზამთ, ჟანრია ასეთი!

ზოგიერთმა შეიძლება იფიქროს: რა დროს ანექდოტებია, ქვეყანას და მის მოსახლეობას ასე უჭირსო!

ამაზე მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია: ვინც ღიმილს კარგავს, თავსაც კარგავს!

ღმერთმა ნუ მოუშალოს ქართველ კაცს ღიმილი და გაღიმების კარგი მიზეზებიც!



მერე იტყვიან, რაც ხალხი - ის მთავრობა!

ნახ. და თემა მ. აბაშიძისა

ქართული „ნიანგი“, №1 (1895)
 აგვისტო, 1997 წ.
 გამოდის 1923 წლის ივნისიდან

მთავარი რედაქტორი ბეჰან სინარულიძე

სარედაქციო კოლეგია: მურთაზ აბაშიძე, ჯემალ ლოლუა (მთავარი მხატვარი), რომან მიმინოშვილი, რევაზ მიშველაძე, გურამ ფანჯიკიძე, ჯემალ ქარაზანიშვილი, ლერი ჩანტლაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიგწივაძე.

ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ დონაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.07.97; ფორმატი 60X84/8, სააღრ.-საგამომც. თაბახი 2; გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. შეკვ. 0843 ტირაჟი 1500; ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ; ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ. რეგისტრაციის №0606.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პრ. №42.
 ტელეფონები: 93-19-42; 93-49-32; 99-55-54.

ინდექსი 76137 შპსი 60 თეთრი



ეს ძაღლი ცოფზე თუა აკრილი?

ნახ. ჯ. ლოლუასი
თემა მ. სიხარულიძისა